პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 17 მარტი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 58 (746) 1და2 კ.მ.დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელს. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

## ახალი პრეზიდენტის არჩევნების წინ.

29 მარტს დაიწყება პრეზიდენტის არჩევნები გერმანიაში. ამ დღისათვის დიდის გაფაციცებით ემზადებიან ყველა პარტიები. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს კომპარტიაც, რომლის მიზანია ეს მომენტი გამოიყენოს თავისი იდეების პროპაგანდისათვის ფართე მშრომელთა მასაში და არსებული მდგომარეობა გააშუქოს მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით.

თავისი კანდიდატიც კი წამოაყენა პრეზიდენტის ადგილზე—ამხ. ტელმანი.

უნდა ითქვას, რომ საპრეზიდენტო არჩევნები დიდათ აღელვებს ბურჟუაზიულ და სოციალ-შეთანხმებელ პარტიებს. ეს არც გასაკვირია, ვინაიდან გერმანიის კონსტიტუციის ძალით პრეზიდენტი მეტად ფართე უფლებებით სარგებლობს. მას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი, დროებით გააუქმოს კონსტიტუცია და ისარგებლოს დიქტატორული უფლებებით, დანიშნოს სრულიად გერმანის მთავრობა რეიხსტაგის შემადგენლობიდან და მისი თანხმობით უშუალოდ უხელმძღვანელოს რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ძალებს.

ასეთია გერმანიის პრეზიდენტის უფლებები, რომელიც მაინც და მაინც დიდათ არ განირჩევა მეფის უფლებებისაგან.

ცხადია თითეული პოლიტიკური პარტია დიდათ დაინტერესებულია თავის კანდიდატი გაიყვანოს.

უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანიის ბურჟუაზია ასეთ დიდი მნიშვნელობის ადგილს არავის არ დაუთმობს, რასაკვირველია არც სოციალ-დემოკრატიასაც, რომლის კანდიდატი იყო განსვენებული ებერტი.

წელ გამაგრებული გერმანიის ბურჟუაზიას სრულიად არ სჭირია სახელმწიფოს სათავეში დააყენოს სოციალ-დემოკრატი. მაშინ, როცა ებერტი იქმნა არჩეული სულ სხვა დრო იყო.

რევოლიუციონური ტალღები განადგურებას უპირებდენ ბურჟუაზიას და საჭირო იყო ისეთი ძალა, რომელიც შეაჩერებდა რევოლიუციის ზრდას, შეანელებდა მას და გაამაგრებდა ძირგამომპალ კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

ასეთი ძალა იპოვა გერმანიის ბურჟუაზიამ.

ეს—სოციალ-დემოკრატია იყო. მისი საშვალებით მან შესძლო რევოლიუციის დამარცხება გერმანიაში დროებით და თავის ბატონობის შენარჩუნება.

დღეს გერმანიის კაპიტალისტები და მსხვილი მემამულეები ძაგრად გრძნობენ თავს, მათ არ სჭირიათ ეროვნული ლაქიების— სოციალ-შეთანხმებლების დახმარება. მათ აინტერესებს დღეს თავისი კანდიდატის გაყვანის საკითხი და არა ვინმე სოციალ-დემოკრატი წამოასკუპონ საპრეზიდენტო ტახტზე. ასე რომ ლაპარაკი სოციალ-დემოკრატების კანდიდატის გაყვანაზე ზედმეტია.

ამას გრძნობს თვით სოციალ-დემოკრატიაც, რომელიც უკვე ეკედლება ბურჟუაზიის მემარცხენე ნაწილს.

ერთი სიტყვით მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს გერმანიისათვის.

გერმანის კომპარტია უკვე საკმაოდ გამოცდილი თავისი კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში სავსებით გამოიყენებს ამ არჩევნებს და კიდევ ერთხელ ნილაბს ახდის სოციალ დემოკრატიის გამცემლობას და გერმანიის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

## „თესვის კამპანიისათვის.“

ამ სათაურით „იზვესტიაში“ მოთავსებულია შემდეგი წერილი.

„საგაზაფხულო თესვის კამპანიის მუშაობა გაჩაღებულია. მუშაობის პირველი ნაწილი, სახელდობრ თესლის კამპანია შეიძლება ჩაითვალოს წარმატებით დამთავრებულად. წარმატებით მიდის აგრეთვე საზამთრო თესვისათვის თესლის დასამზადებელი მუშაობა.

ყველაფერი ეს ამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლების ენერგიულ საქმიანობას, რომლითაც ის შეუდგა გლეხობის დახმარებას სათესლე მასალების მიწოდების საქმეში.

მაგრამ ჩვენს წინაშე სდგას კიდევ სხვა ამოცანების მთელი რიგი.

უმთავრესი ამოცანა არის გლეხთა მომარაგება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

უკვე შემოსულია მოთხოვნილება 255 გუთანზე, 76.000 ფოცხებზე, 14.000 სათეს მანქანებზე და სხვა.

უნდა ვემზადოთ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

შემდეგ არის სათესლე ხორბლის გაწმენდის საკითხი. მთელს კავშირში მოიპოვება 800 თესლის დამწმენდი პუნქტი. ისინი ამუშავებულ უნდა იქნან.

უნდა გატარებულ იქნას აგრეთვე ცხოვრებაში სამიწადმოქმედო კომისარიატის დადგენილება სახელმწიფო მიწების გაცემის შესახებ მოკლევადიან იჯარით. ადგილობრივმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა სახელმწიფო მიწების საიჯარო საქმეში მიზიდულ იქნან გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტები. გაზაფხულს უნდა შევხვდეთ ჩვენ მომზადებულათ ამ სამეურნეო ამოცანების გადაჭრის საქმეში.“

# ახალი რადიო-ამბები

## სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გარშემო.

### კომინტერნის მიმართვა ჩინეთის ხალხისადმი.

„კომუნისტური ინტერნაციონალი თქვენთან ერთად ჰგლოვობს ჩინეთის რევოლიუციონური პარტიის სუნ-იატ-სენის გარდაცვალებას.

სუნ-იატ-სენის სახელი ძვირფასია მსოფლიო პროლეტარიატისა და აღმოსავლეთის ხალხისათვის, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

1911 წლის რევოლიუცია, რომელმაც დაამხო ჩინეთის მონარქია, დაკავშირებულია სუნ-იატ-სენის სახელთან.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის მას ჩინეთის ხალხის წინაშე მისი ცხოვრების უკანასკნელი წლების განმავლობაში.

უკანასკნელ წლებში სუნ იატ სენმა გამოიყენა რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილები და გადაიღო ფართე მასების მიზიდვის მეთოდები რევოლიუციონურ მოძრაობაში.

სუნ-იატ-სენის მნიშვნელობა, როგორც მებრძოლის, ჩინეთის რევოლიუციონური ჯგუფების ორგანიზატორისა და ბელადის,—დიდია მსოფლიო პროლეტარიატისა და აღმოსავლეთის [illegible]

თქვენი ბელადის სუნ იატ-სენის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეს კომინტერნი მოგმართავს თქვენ მოწოდებით—უფრო შეამჭიდროვოდ თქვენი რიგები სახალხო-რევოლიუციონურ პარტიის—გომინდონისა და ჩინეთის კომპარტიის გარშემო და განაგრძოთ ბრძოლა, რომელიც დაიწყო ათეული წლების წინ გარდაცვლილმა გომინდონის ბელადმა.

კომინტერნი მოგიწოდებთ თქვენ შეუდრეკლად, როგორც თქვენი ბელადი, ებრძოლოთ ყველას, ვინც სცდილობს დაამახინჯოს სუნ-იატ-სენისა და მისი პარტიის პოზიცია იმპერიალისტებთან დათმობის სახით.

გაუმარჯოს ჩინეთის განთავისუფლებას!“

### კომინტერნის აღმასკომის მოწოდება ყველა ქვეყნების მუშებისადმი.

ჩინეთის მრავალ მილიონიანმა მასებმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს.

გარდაიცვალა დიდი ბელადი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხის განთავისუფლების საქმეს მძიმე უღლისაგან.

გარდაიცვალა სუნ-იატ-სენი, რომელიც დაუღალავად იბრძოდა ჩინეთის მშრომელი ხალხის დამონავების წინააღმდეგ.

მთელი ქვეყნის რევოლიუციონური პროლეტარიატი ხრის დროშებს თავისი ხალხის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლის საფლავზე.

სუნ-იატ-სენი არ იყო კომუნისტი, მაგრამ მას კარგად ესმოდა ჩინეთის ჩაგრულ მშრომელთა და მსოფლიო მუშათა კლასის საერთო ინტერესები და ღრმად თანაუგრძნობდა რევოლიუციონურ—განმათავისუფლებელ იდეებს, რომლებიც ფრთებს ასხამდა მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდს.

სუნ—იატ—სენი იყო არა მარტო ჩინეთის ხალხის მეგობარი: ის თავის უკანასკნელ წუთებამდი დარჩა დასავლეთის მუშების მეგობარი და მშრომელი მასების წინამძღვარი.

თავისუფლებისათვის თავგანწირულ გარდაცვალებულ მებრძოლის წინაშე შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები და დაეხმარეთ ჩინეთის მშრომელთა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ნუ მისცემთ თქვენს ბურჟუაზიას ჩინეთის ხალხის განადგურების ნებას. ერთსულოვნად დაიცავით 400 მილიონიანი მშრომელი ხალხი, რომელიც სულს ღაფავს უცხოეთის უღელ-ქვეშ.

გაუმარჯოს მშრომელთა დაუზოგავ ბრძოლას საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მუშათა და გლეხთა საერთაშორისო სოლიდარობას.

### რკპ-ს ცეკას წინადადება.

სუნ-იატ-სენის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რკპ-ს ცეკამ მიმართა წინადადებით პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს დაიწყონ ფართე კამპანიები მუშებსა და გლეხებს შორის, რომელთაც უნდა განემარტოს რევოლიუციონური მოძრაობის მნიშვნელობა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩინეთში, აეხსნას გომინდანის პარტიისა და გარდაცვლილ სუნ-იატ სენის როლი.

### ლენინურ ახკომკავშირის დეპეშა.

ლენინურ ახკომკავშირის ცეკამ მიმართა გომონდანის პარტიის ცაკის შემდეგი დეპეშით: „ლენინური ახკომკავშირი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სუნ იატ-სენის გარდაცვალების გამო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გომინდანის პარტიის პირველ რიგებში მებრძოლი ჩინეთის რევოლიუციონური ახალგაზრდობა მტკიცედ და შეურყევლად წავა იმ მხრით, რომელიც უჩვენა ყველა ქვეყნების მშრომელთ ლენინმა და სუნ-იატ-სენმა.“

## ერთუფროსობა წითელ-არმიაში.

### საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანება.

წითელ-არმიაში ერთუფროსობის პრინციპების უფრო სრულად განხორციელების მიზნით, საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭომ 2 მარტის თარიღით გამოცემულ ბრძანებით საჭიროდ სცნო დაეკისროს კომანდირებსა და უფროსებს სამწყობრო, ადმინისტრატიული და სამეურნეო ფუნქციები, რის გამოც ბრძანება მიუწერს:

განთავისუფლებულ იქნას წითელი არმიის კომისართა მთელი შემადგენლობა ყოველ დღიური კონტროლის გაწევისაგან კომანდირებისა და უფროსების სამწყობრო, ადმინისტრატიულ და სამეურნეო საქმიანობაში; სამხედრო კომისარი ინარჩუნებს მხოლოდ პარტიულ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობის ფუნქციებს და კომანდირთან ერთად პასუხისმგებელია ნაწილის მორალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში.

კომისარის უფლებაში რჩება განკარგულების გაცემა პოლიტიკურ ხაზით. კომანდირებსა და უფროსებს ევალებათ მიაწოდონ მუდმივად ცნობა კომისრებს ნაწილის ადმინისტრატიულ—სამეურნეო ცხოვრების შესახებ.

სამხედრო კომისრებს ეძლევა უფლება კომანდირებისა და უფროსების განკარგულების განსაჩივრებისა, მაგრამ არ შეუძლიათ განკარგულებათა ასრულების შეჩერება.

ისინი ინარჩუნებენ დისციპლინალური სასჯელის დადების უფლებას.

ბეჭედი და შიფრი უნდა ინახებოდეს შტაბის უფროსებთან, ხოლო იმ ნაწილებში, სადაც ასეთები არ მოიპოვებიან, კომანდირებთან და უფროსებთან.

წითელი ფლოტის და ეროვნული ნაწილების სამხკომები განსაკუთრებული დებულების გამომუშავებამდი, ინარჩუნებენ თავიანთ ძველ ფუნქციებს.

## პარიზის კომუნის დროშა ლენინის აკლდამაზე.

ლენინის აკლდამაზე იღმართული იქნა პარიზის კომუნის დროშა, რომელიც ფრიალებდა პარიზის კომუნის უკანასკნელ დღეებში(1871წ) პარიზის ბარიკადებზე. დროშა დახვრეტილია ხიშტებით.

ეს დროშა გადმოცემულ იქნა რკპ-ს ცეკაზე გასული წლის 6 ივნისს.

## გერმანიის რკინის გზელთა გაფიცვები.

### ქვითელი ბელადები ხელს უშლიან მუშების გამარჯვებას.

რკინის გზელთა გაფიცვებს ხელს უშლის გერმანიის პროფკავშირთა ბიურო.

პროფკავშირების წარმომადგენლებმა მოითხოვეს მცირედი მომატება, ხოლო სამუშაო დროს შესახებ წინადადება მისცეს „რკინის გზის სამმართველოს შეედგინათ სპეციალური კომისია [illegible]

მაგრამ ეს მოთხოვნილებაც კი იქნა უარყოფილი და ნაცვლად გაფიცვებისკენ მოწოდებისა პროფკავშირებმა მიმართეს ლიუტერის მთავრობას თხოვნით მოაგვაროს ეს საკითხი.

## სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება.

გერმანიის შრომის სამინისტროსთან არსებულ სამედიატორო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება რკინის გზელების კონფლიქტის შესახებ.

დადგენილება მიმართულია როგორც მუშების, ისე მეპატრონეთა წინააღმდეგ.

## სამხედრო საქმე
## სამხედრო საინჟინერო საქმე.
### ხელოვნური დაბრკოლებანი.

პოზიციის არჩევის დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა ქონდეს, რომ ისეთი პოზიცია აირჩიო, რომელიც რაც შეიძლება მეტ დაბრკოლებას წარმოადგენდეს მოპირდაპირის წინსვლისათვის. შეუჩერებელი და შეუპოვარი წინსვლა გამარჯვების მომასწავებელია. ხსენებული დაბრკოლებები ასეთ წინსვლას შეაფერხებს, ხელს შეუშლის და ამ გვარათ მომგერიებელს საშვალება ეძლევა ნამდვილი ცეცხლის გავლენის ქვეშ იყოლიოს მტერი ზედმეტ ხანს.

იმ შემთხვევაში, როდესაც პოზიციაზე არ მოიპოება ასეთები, ბუნებრივი, მაგალითად პოზიციის წინ ჭაობები, მდინარე და სხვა, უნდა მივმართოთ ხელოვნურ დაბრკოლებების აგებას.

მათ ასაგებათ ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ რკინით, ხით, მიწით და წყლით.

საზოგადოთ ხელოვნური დაბრკოლებანი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს:-

1. დაბრკოლებები და მასთან მისავლები უნდა იყოს აუცილებლათ ცეცხლის ქვეშ.

2. დაბრკოლებები არ უნდა ფარავდეს წინა მდებარე ადგილებს.

3. დაბრკოლებები თვით უნდა იქმნას მოპირდაპირის მხედველობისგან.

4. დაბრკოლება უნდა იყოს ისეთი განისა, რომ ერთ ზარბაზნის ყუმბარას არ შეეძლოს მისი განადგურება მთელ სიგანეზე გასავალათ.

5. დაბრკოლება უნდა ძნელათ განადგურდებოდეს და განადგურებული ჩქარა აღიდგინებოდეს. საერთოდ დაბრკოლებანი შეიძლება იქნეს შემდეგი დარგისა:

1. დაბრკოლებანი გადასატანი, ესე იგი შეიძლება მისი აგება ერთ ადგილზე და შემდეგ სხვა ადგილზე გადატანა.

2. მუდმივი დაბრკოლებანი ეს ისეთები, რომლებიც აიგებიან იმ ადგილს საცა საჭიროა და სხვა ადგილას მისი გადატანა დაუშლელათ შეუძლებელია.

3. მოსახმარებელი დაბრკოლებანი, რომლებიც აძლიერებენ საზოგადოთ დაბრკოლებებს.

4. ტანკის მოწინააღმდეგე დაბრკოლებანი, ესე იგი, მიმართული სპეციალათ ტანკების წინააღმდეგ.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც არც დრო და არც მოპირდაპირის ცეცხლი საშვალებას არ გაძლევს ადგილობრივათ ააგოთ დაბრკოლებები.

ამ შემთხვევაში უნდა მიმართოთ გადასატან დაბრკოლებებს. ისინი აიგებიან ან საზოგადოთ მზადდებიან უკან ზურგში, შეიკუმშებიან ადვილათ და გადაიტანებიან ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე.

ასეთი შეკუმშული დამზადებული დაბრკოლებები გადმოაქვთ საცა საჭიროა, გაშლიან და დამაგრდებიან ადგილობრივათ.

ასეთი გადასატანი დაბრკოლებები მრავალგვარია; მათ შორის ღირსშესანიშნავია შემდეგი:

მავთულების ცილინდრები ანუ სპირალი. ჩვენ ვიცით რომ საზოგადოთ ეკლიანი მავთული მოხვეული არიან გადასატან-გადმოსატანათ მურგებათ. როდესაც ჩვენ ამ მურგს ვარღვევთ მავთული კიდევ ინახავს ამ მურგისსებურ ანუ სპირალისებურ ფორმას. თუ კი რომ ჩვენ ასეთი ფორმით მას მიწაზე დავამაგრებთ სხვა და სხვა საშუალებებით, ჩვენ მივიღებთ უკვე კარგ დაბრკოლებას. რომ მავთულმა გაშლის დროს შესაფერი ფორმა მიიღოს ხშირათ მავთულს ახვევენ ხის რგვალ მორზე და შემდეგ შლიან.

მავთულის რაგატკები წარმოადგენენ სამ ჯვარედინათ გადადებულ ხის სარებს, რომლის სიმაღლე არ აღემატება ერთ მეტრს. სამი ასეთი ხის ჯვარედინი შეერთდებიან ერთ ლარტყით.

ჯვარედინის ბოლოები გადაიხლართებიან ერთი მეორეზე ეკლიანი მავთულით, როგორც ლარტყის გასწრივ, ისე დიაგანალურათ.

ამ გვარათ მივიღებთ გადასატან მავთულ ხლართს, რომელიც იხმარება ისეთ ადგილას, სადაც გვიხდება ხშირათ აგება ასეთის, მაგალითად გზებზე.

მ. გ.

აკრძალულია მასიური დათხოვნა.

ოქტომბრის ბოლომდი ძალაში რჩება 9 საათის სამუშაო დღე.

6 პფენიგის მომატების მაგივრად, სასამართლომ დადგინა სამის მომატება.

[illegible]

აზრი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

## სისხლის ტბა გალლეში

გალლეში (გერმანიაში) საარჩევნო კამპანიის დროს საშინელი შემთხვევა დატრიალდა.

პოლიციამ თოფები დაუშინა საარჩევნო კრების მონაწილეთ. მოკლულ იქნა 7 კაცი, ამათ რიცხვში ორი ქალი. დარბაზში შიშის ზარი ატყდა. დაიმტვრა კიბე და მრავალი კაცი გადაიჩეხა.

სახლი, სადაც კრება მიდიოდა, ბრძოლის ველის შთაბეჭდილებასა სტოვებს.

ყოველგან სდგას სისხლის ტბები. დანთხეულია ტვინები.

გარშემო ჰყრია დალეწილი ავეჯეულება.

სოციალ—დემოკრატიული პრესა პასუხისმგებლობას ახ[...] ვევს თავზე პოლიციას, თუმცა ჩვეულებრივ კომუნისტებ[...] მიმართაც უშვებს საყვედურებს.

პოლიცია მზად სდგას. აკრძალულია ყოველგვარი დე[...] მონსტრაცია.

ბურჟუაზიული გაზეთები ამტკიცებენ, რომ დამნაშავენ[...] არიან კომუნისტები, რომლებმაც დაარღვიეს გადაწყვეტილე[...] ბა და გამოუშვეს კრებებზე უცხოელებიო.

## საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტი ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის საბჭომ განიხილა საბერძნეთ—ოსმალეთის კონფლიქტები სტამბოლიდან საბერძნეთის პატრიარქის გაძ[...] ვებასთან დაკავშირებით.

დადგენილია მიმართონ საერთაშორისო ტრიბუნალს ერთა ლიგის კომპენტენტობის გამოსარკვევად ამ საკითხში.

ოსმალეთის მთავრობა არ სცნობს ლიგის საბჭოს კომპენტენტობას. საბერძნეთი რეზოლიუციის თანახმაა.

## მწარმოებელი კოოპერაცია.

ძირითადი ცვლილების შეტანა სოფლის მეურნეობაში შეუძლია მხოლოდ მწარმოებელ კოოპერაციას. ასეთი კოოპერაციის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ამხანაგობანი, რომელშიაც მონაწილეთ აქვთ საერთო იარაღები და წარმოებისა საშვალებანი, აგრეთვე საერთო ძალღონით ეწევიან წარმოებასა.

შრომის განაწილების საშვალებით, ისინი საერთო ძალღონით, ამუშავებენ მიწას, კრებენ და ასაღებენ პროდუქტს, და თავის საერთო შრომის რეზულტატებს, ხარჯების დაფარვის შემდეგ, თანაბრად ნაწილებენ. ასეთი კოოპერატივები წარმოადგენენ გარდამავალ ეტაპს ინდივიდუალურ მეურნეობიდან მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე.

ისტორიულად კოოპერაციის მწარმოებელი შრომა, ყველაზე ადრინდელია და მიუხედავათ ამისა მეტად სუსტად განვითარებულია.

მრავალი ცდა მწარმოებელ კოოპერაციისა მოახდინეს საფრანგეთში, სადაც მის პროპაგანდისტებად ითვლებოდენ: ცნობილი ბიუშე, ფურიე, ლუი ბლანი. მათი აზრით მწარმოებელ კოოპერაციის იდეა იშლებოდა შემდეგ ნაირად: რომელიმე პროფესიის მუშების ჯგუფი ქმნიან ამხანაგობას, რომ საერთო ძალღონით და ანგარიშით აწარმოონ პროდუქტები გასასყიდლათ.

კოოპერატივში გაერთიანებული მუშები ქმნიან მეურნეობას, რომელმაც არ იცის კაპიტალისტი მეპატრონე, მაგრამ რომლის მონაწილე ერთი და იმავე დროს მუშაც არის და პატრონიც.

შულცე-დელიჩისათვის, რომელსაც ჩვენ როგორც საკრედიტო კოოპერაციის მამამთავარს, მწარმოებელი არტელი მიაჩნდა კოოპერაციის უმაღლეს ფორმად: საწარმოო ამხანაგობაში, ამბობდა შულცე, ჩვენ ვესალმებით კოოპერატიულ სისტემის სრულყოფას.

საწარმოებელი კოოპერაცია, ერთ დროს იყო ისეთი ფორმა კოოპერაციის, რომელშიდაც სოციალიზმის მოღვაწენიც სიმპატიურად ეპყრობოდენ. მაგ. მარქსი თავის კაპიტალის მე-3 ტომში და ლასალიც, შულცესთან კამათის დროს.

პირველი შეხედვით ასეთი ყურადღებას საზოგადო მოღვაწეებისაგან საწარმოო კოოპერაციისა მიმართ, უნდა გამოეწვია მისი გაშლა განვითარება. მაგრამ მიუხედავად მრავალ დახარჯულ ძალღონისა, დასავლეთ ევროპაში განხილული ფორმა კოოპერატივისა ვერ ვითარდებოდა.

მით უფრო გასაკვირალია საწარმოო კოოპერაციის მარცხი, რომ გარდა საზოგადოებისა, მას ეხმარებოდა მთავრობები და საზოგადოებრივი დაწესებულები.

მაგრამ ყოველ მოვლენას აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები.

მთავარი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის, მწარმოებელ კოოპერაციის განვითარებას არის უნარის არ ქონება შეეგუოს წარმოების და ბაზრის მოთხოვნილებას.

ეს მდგომარეობა მეტად სახიფათოა მწარმოებელ კოოპერაციისათვის. „თუ ამხანაგობა მიიღებს იმდენ წევრს, ამბობს პროფ. გერკგორფი—რამდენიც აუცილებელია კარგ დროისათვის, რომ მან დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნილება, ამ დროს მას უკვე მეტი მუშა ყავს ვიდრე ესაჭიროება. თუ კი ის შეამცირებს წევრების რიცხვს ამ დროს, გამოცოცხლების დროს, კოოპერატივი იძულებული იქნება დაიქირაოს მუშა ხელი, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს.

მაშასადამე ჩვენ უყურებთ თუ რა მდგომარეობაში არის მწარმოებელი კოოპერაცია დასავლეთ ევროპაში, სადაც გამეფებულია კონკურენციის პრინციპი, სადაც არ არსებობს სახალხო მეურნეობის გეგმა, სადაც სახალხო მეურნეობა ანარქიულია და საწარმო კოოპერატივი ხდება კაპიტალისტურ კონკურენციის მსხვერპლი.

მაგრამ ჩვენ ვიცით დღევანდელ საბჭოთა მეურნეობაში სადაც სახალხო მეურნეობა გეგმის პრინციპზეა აგებული, სადაც გათვალისწინებულია ყველა მომენტები სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებისათვის, საწარმოო კოოპერაცის-არტელების, როგორც გეგმითი ორგანიზაციის განვითარება უზრუნველყოფილია და აუცილებელი.

მწარმოებელ კოოპერაციის განვითარება დღევანდელ პირობებში შეიცავს მსხვილ წარმოებისა ყველა დადებით თვისებებს, რომელიც მწარმ. კოოპ. საშვალებით გადაეცემ[...] წვრილ მეურნეობას.

ასეთ მეურნეობაში იმატებ[...] შრომის ნაყოფიერობა, უმჯო[...] ბესდება შრომის პირობები[...] უმჯობესდება მეურნეობა დ[...] მაღლა იწევს შემოსავალი. ცხ[...] დია ყოველი ეს მოითხოვს მე[...] ურნეობის ნაყოფიერობის ზრ[...] დას, რაც არტელში გაერთია[...] ნებულ ძალღონით უფრო ად[...] ვილათ მისაწდომია.

დღეს როდესაც ხელისუფ[...] ლების მორიგი ამოცანაა სასო[...] ფლო მეურნეობის გამაგრებ[...] საწარმოო კოოპერატივებმა უდ[...] იდესი როლი უნდა ითამაშო[...] როგორც სოფლის მეურნეო[...] ორგანიზატორმა, რათა მით გ[...] უადვილოს საბჭოთა ხელისუფ[...] ლებას დახმარების აღმოჩე[...] მეურნეობის გაჯანსაღებისათ[...] ვის.

ილ. თ-ძე.



# თებერვლის რევოლიუციის აღსანიშნავი დღე ცხენოსან ლეგიონში.

12 მარტს ცხენოსან ლეგიონში შესდგა თებერვლის რევოლიუციის აღსანიშნავი საზეიმო კრება. კლუბის დარბაზში თავი მოიყარეს ლეგიონის ყველა ესკადრონებმა.

ამორჩეული იქნა საზეიმო კრების პრეზიდიუმი და დაწყო ამხანაგების სიტყვები დღის მნიშვნელობაზე ვრცელი მოხსენებებით გამოვიდენ ამხანაგების მთელი რიგი, რომლებიც ცალ-ცალკე აშუქებდენ 12 მარტის თითეულ მომენტებს. გარკვევით იქნა დახასიათებული თებერვლის რევოლიუციის შედეგები და მათი მნიშვნელობა მსოფლიო რევოლიუციონური მუშათა მოძრაობისათვის.

თითქმის ყველა მომხსენებლები მიუთითებდენ იმაზე, თუ როგორი შეცდომები ჩაიდინეს თებერვლის რევოლიუციის ხელმძღვანელებმა და როგორ უღალატეს შემდეგში მშრომელი ხალხის კანონიერ მოთხოვნილებებს. კრება დიდი ენტუზიაზმით იქნა ჩატარებული.

სხვა და სხვა ხასიათის შეკითხვებმა უფრო გააცხოველეს ის.

ბოლოს საერთო სურვილით გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ მთელი კრება ფიცს სდებს მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე, მედგრად-თამამად წითელი-ოქტომბრის დროშით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ მთელი მსოფლიოს დაჩაგრულთა განთავისუფლებისათვის. რეზოლიუცია დაფარა მხურვალე ტაშის ცემამ.

ა. ცხომელიძე.

---

მცოდნეთა ცალკე ჯგუფად გამოყოფა და მათთან პოლიტსაათების ჩატარება. იმედია ნაწილის პოლიტშემადგენლობა სათანადო ყურადღებით მოეპყრობა ამ გარემოებას, რაც გაცილებით მეტ ნაყოფს მოგვცემს, ვიდრე დღემდე.

სპეციალურ დარგებში მეცადინეობა ნაწილში მიმდინარეობს ჯგუფობრივ. თითეულ ჯგუფს ყავს თავისი ხელმძღვანელი. უკვე ერთი კვირაა რაც ამ სისტემით მიმდინარეობს ასეულში მეცადინეობა და უნდა ითქვას, რომ ნაყოფიც სჩანს.

ჯგუფობრივ მეცადინეობის მნიშვნელობა წინასწარ გააცნეს არმიელებს ასეულის თავმა და სამხკომმა.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

---

# ჩვენი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

მეხუთე ლეგიონის მეცხრე ასეულმა პირნათლად შეასრულა პირველი დავალება.

მან ცვალებად შემადგენლობის აღრიცხვაზე აყვანა უკვე ჩაატარა. დღემდის ის ფორმალურათ თითქოს დასვენებული იყო—ფაქტიურათ კი ასეულის მუდმივი შემადგენლობა მეცადინეობდა როგორც სამწყობრო, პოლიტიკურ ისე სხვა და სხვა დარგებში მომავალ მუშაობისათვის. ამ ჟამად ასეულის შემადგენლობა მეცადინეობას აწარმოებს 1903-4 წ. წ. დაბადებულ წვევამდელებთან.

დიდი ხანი არაა რაც ეს მეცადინეობა სწარმოებს, მაგრამ ეხლაც აშკარაა წარმატებები.

მიუხედავათ ეროვნებათა სხვა და სხვაობისა (48 პროც. ქართ. 46 პროც. რუსი და 6 პროც. სხვა და სხვა ეროვნებისაა) საერთო ძახილი და სამწყობრო მეცადინეობა სწარმოებს ქართულ ენაზე, ხოლო წესდებები კი რუსულ და ქართულ ენებზე.

რუსულ ენაზე წესდებებს ამაცადინებს ასეულის მეთაურთა შემადგენლობა.

**პოლიტ-განვითარება.**

ხსენებულ ასეულს მეცადინეობა უხთება დაახლოებით ორას (200) წვევამდელთან, მუშაობის უფრო ნაყოფიერად წარმოებისათვის. ბათომის ოლქის ლ. კ. კ. კომიტეტისაგან გამოყოფილ იქმნა წვევამდელთა შემადგენლობიდან რვა (8) პოლიტხელი, რომლებსაც უხთებათ პოლიტ-მეცადინეობა 25—30 წვევამდელებთან.

განზრახულია დაარსებულ იქნეს წვევამდელ შემადგენლობიდან ახ. ლ. კ. კ. ჯგუფი. აჭარისტანის პარტკომის მიერ ნება დართულია ასეულის უჯრედზე ცვალებად-შემადგენლობის პარტ-ამხანაგების მიმაგრება. თვით ასეულის უჯრედი მიმაგრებულია ბათომის ერთ-ერთ მუშურ რკ. გზ. მტვირთავთა უჯრედზე.

**დახმარება:**

დახმარებას გვიწევს ყოველ მხრივად ადგილობრივი ორგანოები; კავშირი გვაქვს ადგილობრივ გაზეთ „ფუხარასთან“ და საშვალება გვეძლევა გავაშუქოთ საერთოთ სამხედრო და განსაკუთრებით ასეულის ყოველ-გვარი ავ-კარგი.

**საერთო განწყობილება.**

მეთაურთა და წით. არმიელებთა შორის დამოკიდებულება კარგია; კარგი განწყობილებაა აგრეთვე მუდმივ შემადგენლობისა და წვევამდელებს შორისაც. ცვალებად შემადგენლობაც მჭიდრო ურთიერთობაში ვიმყოფებით სხვა და სხვა საუბრების ჩატარებით და სხვა.

სამხკორი ა. წილოსანი.

---

# მიაქციეთ ყურადღება.

მეორე ქართულ დივიზიის შტაბის გუნდის წითელ არმიელებს აგერ ორი კვირა გახდება, რაც დასაწოლი ტახტები არა აქვთ და ტიტველა იატაკზე უხდებათ მოსვენება. არც სხვა მოწყობილობა აქვთ ლოგინებისათვის. ნეტა როდის მოგვცემენ საჭირო საგნებს?

ამას გარდა ჩვენი გუნდის ზოგიერთი არმიელები არიან ტფილისელები. ისინი ხელზე ღებულობენ სანოვაგეს, რის გამო ყოველ დღე თავის ოჯახებისაკენ გარბიან, იშვიათად თუ იპოვი მათ ყაზარმაში. მათი მოვალეობის შესრულება უხდება სხვა ამხანაგებს. ნახევრად სამხედრო ტანსაცმელით, თეთრი ხალათებით და სხვა ისინი მთელი დღეობით დაიარებიან ქუჩებში თავისუფლად. საჭირო შესაფერი ყურადღება. ამხანაგების თა გასულობის წინააღმდეგ სათანადო ზომები უნდა მიიღოს შტაბის კომენდანტმა.

წ.-არ. ნაძვი.

---

# გაერთიანებული კრება.

15 მარტს შესდგა არტლეგიონის მესამე ბატარეის კომუჯრედის ღია კრება, დაესწრენ მრავალი უპარტიო ამხანაგები და ქართულ მუშფაკისა და გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის მუშები.

კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: მოხსენება პარიზის კომუნის შესახებ, კომ-კავშირელ ჩიქოვანის, 18 მარტის დღის ჩატარების შესახებ და მიმდინარე საკითხები.

პარიზის კომუნის შესახებ მოხსენება გააკეთეს ბიბ-გამგე ამხ. ჩიჩუამ და ბიურო. კოლექტივის მდივანმა ამხ. დემეტრაშვილმა, რომლებმაც ვრცლათ გააშუქეს პარიზის კომუნის დამარცხების მიზეზები. მოხსენების გარშემო მიღებული რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენთ იმ მებრძოლებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბურჟუაზიის ხელებში იტანჯებიანო.

ამხ. ჩიქოვანის შესახებ გამოირკვა, რომ მას არ აუსრულებია ბატარეის უფროსის ბრძანება.

კრებამ დაადგინა მიეცეს ამხანაგს სასტიკი გაფრთხილება ასეთი საქმის ჩადენისათვის და თუ კი მეორეთ გაიმეორებს ასეთ შეცდომებს იქნეს პირად საქმეში აღნიშნული, ხოლო მესამეთ კი—მთლათ გამორიცხულია პარტიიდან.

18 მარტის დღის ჩატარების შესახებ ილაპარაკა ამხ. ჟულევიჩმა. კრებამ დაადგინა: დაევალოს წით. კუთხის აქტივებს, რომ საღამოობით ლენინის კუთხეებში აწარმოვონ მაღალი კითხვა პარიზის კომუნის შესახებ და აგრეთვე გამოშვებულ იქმნას ამ დღისთვის კედლის გაზეთი. მიმდინარე საკითხებში არაფერი ყოფილა.

ცქიფურიშვილი.

---

# როგორ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ.

პირველ ცალკე მესანგრეთა ასეულში სისტემატიურად სწარმოებს წითელ არმიელებთან მეცადინეობა. მიუხედავად იმისა, რომ არმიელების უმეტესი ნაწილი მცირე მცოდნეები იყვნენ მათთან წარმოებულმა პოლიტსაუბრებმა მაინც შესაფერი ნაყოფი გამოიღო. რაც დრო გადის ეს ამხანაგები უფრო იჩენენ ინტერესს და მოთხოვნილებებსაც გვიყენებენ.

მაგრამ საჭიროა ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება. რაც უნდა იყოს მცირე—მცოდნეებსა და მცოდნეთა შორის დიდი განსხვავებაა და მათთან ერთად პოლიტსაათების წარმოება ვერ არის მიზანშეწონილი. მცირე მცოდნეთა შეთვისების უნარიანობა უფრო ნაკლებია. ისინი ვერ ასწრებენ მცოდნეებსავით ჩქარა შეითვისონ ყველაფერი და ამიტომ შესაძლებელია მათთან გაერთიანებულად პოლიტმეცადინეობამ ვერ მოიტანოს შესაფერი ნაყოფი. საჭიროა მცირე

---

# პარტიული ცხოვრება.

## მესამე ლეგიონის კომუჯრედი.

მარტის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა ხსენებულ ლეგიონის პირველი კომუჯრედის კრება. დაესწრენ წევრების უმრავლესობა. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 8 მარტის მნიშვნელობაზე მოხსენება; განცხადებების განხილვა პარტიაში მიღების შესახებ; ცირკულიარების განხილვა და სხვა მიმდინარე საკითხები.

ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ დაიწყო პარტიაში მისაღებ ამხანაგების განცხადებების განხილვა.

აღსანიშნავია ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს უპარტიო წითელ არმიელებმა პარტიაში მისაღებ ამხანაგების დახასიათებაში. მათ არ გამოჰპარვიათ ამ ამხანაგების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

შემდეგ კრება გამოცხადებული იქნა დახურულად და განიხილეს ცირკულიარები. უჯრედმა აუცილებლად სცნო ცირკულიარების პრაქტიკული მითითებანი დაუდვას სარჩულად თავის საქმიანობას;

პარტკორი რო.

## ტერ-ნაწილების კონფერენცია.

**კონფერენციის გახსნა.**

1925 წ. 23 თებერვალს ქ. ცაგერში გაიხსნა მე-5-ე ლეგიონის და მე-3-ე ლეგიონის ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელთა პირველი კონფერენცია. კონფერენციას დაესწრენ, ის წითელ არმიელები, რომლებიც არიან აყვანილი აღრიცხვაზე და ითვლებიან ასეულის ცვალებად შემადგენლობად. კონფერენციაზე გამოცხადდენ 80 პროც. მთელი ცვალებადთა შემადგენლობისა. ადგილობრივ ორგანიზაციიდან დაესწრო 77 პარტ-ამხანაგი და ახ. კომკავშირიდან—113 კაცი, დაესწრნენ აგრეთვე წარმომადგენლები თემებიდან რიცხვით 27 კაცი, ამის გარდა იყვნენ მსურველნი მოქალაქენი. სულ კონფერენციაზე ღებულობდენ მონაწილეობას 500 კაცი.

საპატიო პრეზიდიუმში იქმნა არჩეული 7 კაცი: ამხ. ამხ. ფრუნზე, სტალინი, ორჯონიკიძე, რიკოვი, ცხაკაია, მახარაძე, პუგაჩოვი.

საქმეთა პრეზიდიუმში შევიდნენ: ამხ. ამხ. წითელ არმიელი გუგავა, გასვიანი, ცვარიანი, სამაზრო აღმასკომიდან ყიფიანი, პარტ-კომიტეტიდან რამიშვილი, მილიციის უფროსი ჩაკვეტაძე, ასეულიდან ქოხონელიძე, დვალი, გელოვანი, სტურუა, კობალიანი.

**მისალმებანი.**

პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ლეჩხუმის მაზრის პარტიული კომიტეტის სახელით ამხ. რამიშვილმა, რომელიც გამოსთქვამს ღრმა რწმენის, რომ მე-3 ასეულის ცვალებადთა შემადგენლობა დაიმსახურებს იგივე სახელს, როგორიც დაიმსახურა ძლევა მოსილმა რუსეთის წითელ არმიამ.

მეთაურების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გიორგიყურაშვილმა.

ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელთა სახელით კი წით. არმიელმა ამხ. გუგავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მე-3 ასეულის ცვალებადი შემადგენლობა მზათ არის პირველ დაძახისთანავე, გამოვიდეს მთლიანად, როგორც ერთი კაცი პროლეტარულ რევოლიუციის დასაცავად. ყველა წითელ არმიელების აქტიური მონაწილეობა, ყველა საკითხების გადაჭრაში თავდებია ჩვენი გამარჯვებისა.

კონფერენციის მიერ იქნა გაგზავნილი მისასალმებელი დეპეშები: ამიერ კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევოლიუციონურ საბჭოს, მე-2 ქართულ დივიზიის პოლიტიკური განყოფილებას და მე-5 ლეგიონის სამხედრო კომისარს.

**დღის წესრიგში იყო შემდეგი:**

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. მოხსენება ტერ-სისტემაზე გადასვლის შესახებ.
3. საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავი და წითელი არმიის არსებობის შვიდი წლის თავი.
4. ცვალებადი შემადგენლობა და მათი მოვალეობა სოფლად.
5. რელიგია და ცვალებადთა შემადგენელ წითელ არმიელთა დამოკიდებულება მასთან.
6. პარტ-პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა და ცვალებად შემადგენლობის დამოკიდებულება მასთან.
7. მიმდინარე საკითხები.

მოხსენების ირგვლივ იქმნა მიღებული რეზოლიუციები.

რეზოლიუციებში ცვალებად შემადგენლობის მოვალეობის შესახებ სოფლად, კონფერენცია აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოფლად მუშაობის საქმეში დახმარების საჭიროებას საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

პარტ-პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ კონფერენცია აღგენს მთელი თავისი ძალღონით დაეხმაროს სოფლად პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერების საქმეში.

**კონფერენციის დახურვა.**

კონფერენცია იხურება საღამოს 7 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით, შემდეგ გაემგზავრენ ასეულის ყაზარმაში, სადაც ცვალებად შემადგენლობას დაურიგდათ ლეჩხუმის მაზრის პარტიულ კომიტეტის მიერ შემოწირული ლიტერატურა. 655 სხვა და სხვა პოლიტიკური წიგნები; გაეცნენ წითელ ყაზარმაში ცხოვრებას.

ასეთი კონფერენციები უნდა იქმნეს მოწვეული საქართველოს სხვა მაზრებშიც და ადგილობრივ ორგანიზაციების წინაშე სდგას საპატიო ამოცანა დაეხმარონ ჩვენს ტერ-ნაწილების ძირითად შემადგენლობას ამ კონფერენციების ჩატარების საქმეში.

ი. რ.

## ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲒᲐᲖ. „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“.

**სამხედრო** საავადმყოფოს პირველ ვენერიულ კორპუსში ვიმყოფებით ქართველი წითელ არმიელები. ჩვენი გაზეთი მხოლოდ თითო ცალი მოგვდის და ხშირად იგიც არა. ეს ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. არმიელები ბევრი ვართ და ჩვენს გაზეთზე იმდენად შეჩვეული, რომ უიმისობას ვერ ვურიგდებით. რუსული გაზეთების კითხვა კი არ შეგვიძლია. საჭიროა ჩვენი დივიზიის ექსპედიცია მხედველობაში მიიღებდეს ამ გარემოებას და სისტემატიურად მოგვაწოდებდეს ჩვენს გაზეთს. ეს აუცილებელია. ნუ დაგვტოვებთ უგაზეთოდ.

ავადმყოფი წ. არ. ი. კ.

## ᲛᲔ-6-Ე ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ.

12 მარტს კლუბის დარბაზში შესდგა ლეგიონის სრული შემადგენლობის საზეიმო სხდომა. დღის წესრიგში იყო:

1. თვითმპყრობელობის დამხობის 8 წლის თავი, 2. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერატიულად შეკავშირების 3 წლის თავი.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზამთარაძემ, რომელმაც დაახასიათა მონარქიულ სახელმწიფოს ფორმები და კერძოთ რუსეთის მონარქიზმის სრული სტრუქტურა, იმპერიალისტური ზრახვებით მის მიერ მსოფლიო ომში მონაწილეობა, რასაც შედეგათ მოყვა თავისუფლების მოპოვებისათვის თვითმპყრობელობის დამხობა.

გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც ლეგიონის შემადგენლობა უსურვებს საბჭოთა ხელისუფლებას ინტენსიურს საქმიანობას საბოლოო მიზნების ბრწყინვალე დაგვირგვინებისათვის—მშრომელთა მასის საკეთილდღეოთ.

მეორე საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც დაახასიათა ამიერკავკასიის საერთო პოლიტიკურ ეკონომიური მდგომარეობა გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ.

კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც უსურვებს სრული ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპზე დამდგარს ა. კავკასიის ერებს წინსვლას და გამარჯვებას.

ვ. ლორთქიფანიძე.

## ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲧᲝᲤᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მესამე ასეულს ძლიერ უშლის ხელს ბინის სივიწროვე.

არა გვაქვს სხვა და სხვა კუთხეების მოსათავსებლად ოთახები. ბინის სივიწროვე ხელს უშლის აგრეთვე კომუჯრედის საქმიანობას.

სხვა მხრივ კი ასეული კარგად გვაქვს მოწყობილი.

სხვა და სხვა ნივთების შეძენაში დახმარება აღმოგვიჩინა საკლუბო საბჭომ, ხოლო უმეტესი ნაწილი კი შევიძინეთ თვით კურსანტებმა საკუთარი ჯამაგირით.

გვაქვს მშვენივრად მორთული ლენინის კუთხე, რომელშიაც მრავლად მოიპოება სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები.

კუთხეში მოწყობილია აგრეთვე შეკითხვებისათვის ყუთი. კუთხის პრეზიდიუმი ყოველ სამშაბათობით სისტემატიურად მართავს საუბრებს და აშუქებს ყუთში შეგროვილ შეკითხვებს.

ხშირად იმართება პოლიტ-ლატარეა. კურსანტები ერთმანეთს ეჯიბრებიან სხვა და სხვა პოლიტიკურ შეკითხვების მიცემაში, რაც ძლიერ აცხოველებს საქმეს.

კუთხეში სხვა და სხვა გასართობებიც გვაქვს, როგორიცაა: შახმატი, დამკა და სხვა.

ასეულის ოცეულებიც თავის სიმაღლეზე დგანან ამ მხრივ.

დიდი ღვაწლი მიუძღვით ასეულის გამშვენიერებაში ჩვენს მეთაურებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასეულის თავის ამხ. უთნელაშვილის მუშაობა, რომელიც შინაურ წესრიგიანობასთან ერთად დიდი ყურადღებით ეპყრობა კურსანტების სამხედრო მომზადების საქმეს.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის განმავლობაში კურსანტები ძლიერ დატვირთული იყვენ გაკვეთილებით, ისინი მაინც დიდ ინტერესს იჩენდენ სხვა და სხვა კულტურულ მუშაობისადმი და არ კარგავდენ ერთ თავისუფალ წუთსაც კი.

კურსანტი ჯაში.

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

**ᲚᲘᲐᲮᲕᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ.**

სამხრეთ-ოსეთის ცაკმა დაადგინა ახლო ხანში შეუდგეს ლიახვის ნაპირების დამბებით გამაგრებას.

**ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.**

ქალ. ცხინვალში განზრახულია ახლო ხანში გაიხსნას გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

**ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.**

დუშეთის აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს ადგილობრივი საბავშო სახლის ბავშებისათვის ტანისამოსი და საწოლები.

**ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ.**

ახლო ხანში დუშეთში გაიხსნება განათლების განყოფილების წიგნის მაღაზია.

**ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲨᲘ.**

ცხინვალის მთლიანმა მომხმარებელმა საზოგადოებამ გადასწყვიტა გახსნას ცხინვალში წითელი სასადილო.

**ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲗ.**

დუშეთის მაზრაში დაარსდა წყალდიდობასთან მებრძოლი კომიტეტი.

**ᲫᲕᲔᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ.**

სენაკის აღმასკომმა გაგზავნა ექიმი ძველ-სენაკის საექიმო პუნქტის გამგეთ.

**ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲭᲘᲠᲘ.**

სოფ. შრომაში (ყოფ. ვაჩნაძიანი) თავი იჩინა საქონლის ჭირმა. სამაზრო აღმასკომმა უკვე მიიღო სათანადო ზომები.

ბ. ი.

**ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘ.** ბორჩალოს მაზრაში მოეწყო მებამბეობის საცდელ-საჩვენებელი მინდვრები.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

— **სამხედრო კუთხე გლეხთა სახლში.** ახლო ხანში გლეხთა სახლში მოეწყობა სამხედრო კუთხე.

— **ახალი საზოგადოება.** ტფილისში დაარსდა ყრუ-მუნჯთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოება.

— **მწევამდელები.** განზრახულია მწევამდელების მოხსნა სამსახურიდან ჯამაგირის შენახვით სამხედრო ნაწილებში სავარჯიშოთ.

— **კიდევ წითელი სასადილო.** ყოფილ რესტორან „შამპანში“ ახლო ხანში გაიხსნება შრომის კოლექტივის რესტორანი.

— **ფოსტა — ტელეგრაფის** კომისარიატმა ნება დართო ტელეგრაფის მავთულების სატელეფონო კავშირისათვის გამოყენებაზე.

— **ლიანდაგის დაგება.** უკვე შეუდგენ ტრამვაის ლიანდაგის გაყვანას „პასაჟ კროშკას“ ქუჩაზე.

— **სანიტ განათლების** მიზნით დღეს ჩოდრიშვილის სახ... ლობის კლუბში გაიმართებ... მკითხველების საჯარო გასამართ... ლება.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

— **წითელ არმიელთა** კლუბში 18 მარტს, პარიზის კომუნის დღეს გაიმართება წით... არმ. და ფლოტის სახლისა ... სამხ. პოლიტ სკოლის გაერთიანებული ძალებით დიდი საღამო.

— **პარიზში დიდი** სახელ... გაითქვა ქართველმა მოჯირითემ, ხუნდაძემ, რომელიც ... ლა თამაშობს პარიზის ერთ-ერთ უდიდეს ცირკში.

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

**კითხვა.** 1924 წელს გამიწვიეს პარტ-მობილიზაციით ჯარში. ოჯახში დავსტოვე 5 სული: დედა და ოთხი ძმა... ბი. მათ შორის ოთხი უნარი მოკლებულნი, მხოლო ერთ ჩემზე უნცროს შეუძლია მუშაობა, უფროსი ... სრულიად ავადმყოფია და ცხადია ოჯახის სარჩენია. ... ედაც ღარიბი ოჯახი სულ უმწეო მდგომარეობაში ჩავ... რდა. ჩემი თხოვნა დახმარების შესახებ, მიცემული ... ნჩხუთის რაიონის აღმასკომში, გადაგზავნილი იქმნა ოზ... რგეთში და იქ კი სამაზრო აღმასკომმა უარი მითხრა დ... ხმარებაზე, სამისო თანხის უქონლობის გამო. გთხოვ... მაცნობოთ, რა საშვალებით და რომელ დაწესებულ... ბიდან—შეიძლება დახმარების მიღება.?

წ. არ. ს. იმნაძე.

**პასუხი.** რაიონულ აღმასკომიდან გამოიტანეთ თქვენი ოჯახ... მდგომარეობის შემოწმებულ საბუთს, აგრეთვე ჯარში ყო... ფნისას და ამ საბუთებს წარუდგენთ სოციალურ უზრ... ნველყოფის კომისარიატის სამაზრო განყოფილებას, ს... იდანაც მოგეცემათ სათანადო დახმარება.

## ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲜᲘ.

### ᲯᲘᲚᲔᲮᲘ

**ფორმა და ნიშნები ჯილეხისა.**

**ჯილეხით** ავად გახდომის ნიშნები ცხოველს უჩნდება ამ ავადმყოფობის გამომწვევი ბაცილების მის ტანში შესვლიდან 1—14 დღის განმავლობაში. მანამდის—კი ცხოველი გამოუჩენლად ატარებს ჯილეხს თავის ტანში და არავითარ ნიშნებს მისი არსებობისას იგი არ იძლევა.

ჯილეხი შეიძლება იყოს ორი მთავარი ფორმის: „გარეგნული“ ანუ „მუწუკისებური“, „კარბუნკულიოზური“ და „შიგნიური“ ანუ „ნაწლავების“ და კიდევ თავისი ზედმიწევნით სწრაფი მსვლელობით „ელვისებური“.

გარეგნული ფორმის ჯილეხის დროს ცხოველს გულმკერდზე, კისრის გარშემო, ბეჭებზე, მუცლის ქვეშ და ხშირად სხვა ადგილებზედაც კანქვეშ უჩნდება სხვა და სხვა სიდიდის, შუა ადგილზე მაგარი და კიდეებზე რბილი, მტკივნეული, ჯერ ცხელი და მერმედ ცივი რამდენიმე (სიმსივნე), მუწუკი, რომელიც 6—12 საათის განმავლობაში შესამჩნევად დიდი ხდება.

ეს მუწუკები თუ გაჩენისთანავე არ იქნენ ამომწვარი გახურებული რკინით, ან სხვა რამე საშუალებით, 2—3 დღეში მუწუკებში მყოფი ჯილეხის ბაცილები ცხოველის მთელ სისხლს მოედებიან და აუცილებლად სულ მოკლე ხანში ცხოველს სიცოცხლეს მოუსპობენ.

შიგნიური ანუ ნაწლავების ჯილეხის დროს ცხოველს კუჭ-ნაწლავები სტკივა და ძლიერ დასუსტებულია.

ხშირად იგი მუცელზე იხედება, ფეხებით მიწაზე ურტყამს, ძლიერა კუთავს, ე. ი. სწუხს, თუ მეწველია რძესა ჰკარგავს, სიკვდილის წინ აფალარათებს, სიკვდილის შემდეგ მუცელზე იბერება და ცხვირიდან და უკანა კარებიდან სისხლნარევი ქაფიანი წილა გამოსდის.

როგორც პირველი ისე მეორე ფორმის ჯილეხი, გარდა ზევით აღწერილი ცალ-ცალკე მათი ნიშნებისა, იძლევიან კიდევ ერთ ნიშნებს, რომლებიც საერთოა ორივე ფორმის ჯილეხისათვის.

მაგალითად: ჭამის მადის დაკარგვა, მოწყენილობა, ბალნის აბურძგვა, 40--42.-გრად.სიცხე, ყველა ლორწოიანი გარსის მოშავწითელო და მოყვითალო ფერი, ცხვირ-პირიდან და უკანა კარებიდან სისხლის დენა, სუსტი (70-100) მაჯა, ტანის ძიგძიგი, მოკლე და მძიმე სულის თქმა, სისხლნარევი ფაღარათი, სიარულის დროს პანცალი და მოშავო და სისხლნარევი შარდი.

ყველა ზევით ჩამოთვლილი ნიშნები ზოგიერთ შემთხვევებში 8-30 საათის განმავლობაში სრულ განვითარებას აღწევენ, ზოგიერთ შემთხვევებში კი 2-6 დღის განმავლობაში. პირველ შემთხვევაში ჯილეხი **მსწრაფლი ფორმისა** იქნება, მეორე შემთხვევაში—კი **ქვემსწრაფი ფორმისა**.

ელვისებური ჯილეხის დროს ცხოველი, რომელიც სავსებით ჯანმრთელად გრძნობს თავს, უცბად მიწაზე ეცემა, რამდენიმეჯერ გაძიგძიგებას ასწრებს და ერთ თუ ორ საათში, ხშირად რამოდენიმე წუთში, კიდევაც კვდება.

საზოგადოთ, ჯილეხით უფრო კარგ ტანში მყოფი ცხოველები ხდებიან ავად, ვინემ გამხდრები. გარეგნული ანუ მუწუკისებური ჯილეხი უმეტეს ნაწილად ემართება ცხენს, ხოლო შიგნიური ანუ ნაწლავების ჯილეხი რქოსან საქონელს.

**როგორ ვრცელდება ჯილეხი.**

ჯილეხი უმეტეს ნაწილად ისეთ ადგილებში ჩნდება, სადაც მეტი ჭაობებია და ხშირად მათ მოვარდნილი წყალი ლეკავს (გადაივლის).

ჯილეხის გადამდებ-გამავრცელებელ საშვალებებად ითვლებიან ჯილეხიანი ცხოველების სამარხზე ამოსული ბალახი (როდესაც უკანასკნელს ცხოველი სძოვს), ამ ადგილზე მოთიმული თივა, ავადმყოფი ცხოველის საკვები და სარწყულებელი (წყალის დასალევნებელი) ადგილები, ჯილეხიანი ცხოველების ტყავი და მატყლი და ბოლოს თვით ადამიანიც, როდესაც ეს უკანასკნელი ჯილეხიან ცხოველებისაგან მიღებულ ტყავსა და მატყლს ხელსა ჰკიდებს, და ჯილეხით ან თვითონ ხდება ავად, ან ის ცხოველი, რომელსაც მან ხელი მოჰკიდა. ჯილეხის გამავრცელებელ არა ნაკლებ მიზეზად ითვლება აგრეთვე ავადმყოფი ცხოველის ყოველგვარი განავალიც და მისი ნადგომი ადგილები, შენობები იქნებიან ისინი თუ მინდორი.

გარდა ამისა შესაძლებელია ჯილეხი ერთი ცხოველიდან მეორე ცხოველზე ბუზების საშუალებითაც გადავიდეს, როდესაც ეს უკანასკნელები ავადმყოფი ცხოველიდან ჯანმრთელ ცხოველზე გადაჯდებიან და თავის პატარა ბანჯგვლიანი ფეხებით ჯილეხის ბაცილების აუარებელ რიცხვს თან გადაიტანებენ.

როდესაც ჯილეხის ბაცილები ხმელ საკვებთან, ბალახთან, წყალთან და სხვა რამესთან ერთად ცხოველის ნაწლავებში მოხვდებიან, იქედან ისინი სისხლში გადადიან და ცხოველში ნაწლავების ჯილეხს იწვევენ, ხოლო თუ გაკაწრულ ადგილზე მოხვდენ, აქ ჯერ მუწუკებს აჩენენ და შემდეგ, თ... თავის დროზე ექიმობა არ მ... ეშველა, სისხლში გადადიან ... ცხოველს 2-3 დღეში ჰკლავ...

**ანატომიური სურათი ჯილეხისა.**

ჯილეხით მკვდარი ცხოველის ლეში მალე ლპება ... იბერება; წინა და უკანა კარებიდან სისხლი გამოსდის; კუ... თები მოხარშულ და მოწით... მოშავო ფერისაა; მუცლისა ... გულმკერდის ღრუებში სი... ლიანი სითხეა; კუჭნაწლავე... და ბადე გაწითლებულია; ელ... ნთა ძალიან გადიდებული ... სისხლით სავსე: მისი ქსოვი... რბილი და ფაფისებურია; ფ... ლტვები, ღვიძლი და თირკ... ლები სიწითლე მორეული, ... დიდებული და დარბილებულ... ხოლო სისხლი თხელი, შ... ფერის და კუპრის მსგავსი.

ჯილეხით მკვდარი ცხოველის სისხლი რომ მიკროსკ... პის საშუალებით გავსინჯო... მასში ჯილეხის ჯოხისებუ... ბაცილების აუარებელ რიცხ... დავინახავთ.

ვეტექიმი ფარეიშვილ...